

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი:
01034000030038001688
გამოქვეყნებულია:
გაზეთი “აჭარა”, 2008 წლის 24 ივნისი, N67

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ

თ ა ვ ი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. ეს კანონი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონის თანახმად ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოსახვის ფორმებს, გამოყენების სფეროს, გამოყენებისა და დაცვის წესს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალი ინახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ადგილას.

თ ა ვ ი II. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის აღწერილობა

მუხლი 2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი წარმოადგენს ტალღისებურად გადაკვეთილ ჰერალდიკურ ფარს, ცენტრში მცირე ჰერალდიკური ფარით. მცირე ჰერალდიკურ ფარზე მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი, ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარის პირველ ნაწილში მწვანე ველზე გამოსახულია ოქროს ციხე. ფარის მეორე ნაწილში ლაჟვარდ ველზე გამოსახულია სამი ოქროს მონეტა ორი ერთზე.

მუხლი 3

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი სრული სახით ფერებში გამოისახება ამ კანონის მე-2 მუხლში მოცემული აღწერილობის შესაბამისად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი შეიძლება გამოისახოს სრული სახით ერთ ფერში, ფერთა და მეტალთა შესაბამისი ჰერალდიკური დაშტრიხვის (ფერთა გრაფიკული გამოსახვის ხერხი) გამოყენებით.

3. შესაძლებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახვა აგრეთვე ერთ ფერში, ფერთა და მეტალთა შესაბამისი ჰერალდიკური დაშტრიხვის გარეშე (კონტურით).

თ ა ვ ი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სფერო

მუხლი 4

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთა სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სრული სახით გამოისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, არიან:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებები, მათი ტერიტორიული ორგანოები;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი სრული სახით განთავსდება აგრეთვე ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების შენობების ფასადზე და სხდომათა დარბაზებში, თანამდებობის პირთა სამუშაო ოთახებში.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება სავალდებულოა.

თ ა ვ ი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენებისა და დაცვის წესი

მუხლი 5

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი განთავსდება (გამოისახება) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერბის ან ჰერალდიკური ნიშნის მარცხენა მხარეს (ჰერალდიკური მარჯვენა მხარე) დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის (ჰერალდიკური ნიშნის) პირდაპირ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერბი ან ჰერალდიკური ნიშანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბზე მალა განთავსდეს (გამოსახოს) ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს ზომით აღემატებოდეს.

3. დაუშვებელია დაზიანებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება ამ კანონის დარღვევით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შებღალვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვას უზრუნველყოფენ შესაბამისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

6. ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება შენობის ფასადებზე, ბეჭდებზე, შტამპებზე, ბლანკებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე. სხვა შემთხვევაში ისინი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს იყენებენ შეუზღუდავად.

7. საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ერთდროული გამოყენებისა და დაცვის სხვა შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა ვ ი V

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 6

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ეტაპობრივად გატარება.

მუხლი 7

ეს კანონი ძალაში შევიდეს “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2008 წლის 17 ივნისი

N296-უ.ს.გ.ს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გერბი

